ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

UNDP

კვლევა:
დავის ალტერნატიული გადაწყვეტა საქართველოში

მოსახლეობის გამოკითხვა
12/2019

ISSA
სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტი
INSTITUTE OF SOCIAL STUDIES AND ANALYSIS

ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Business

UNDP

კვლევა:
დავის ალტერნატიული გადაწყვეტა საქართველოში

მოსახლეობის გამოკითხვა
12/2019

წინამდებარე კვლევა მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის შეხედულებებს.

ISSA
სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი
INSTITUTE OF SOCIAL STUDIES AND ANALYSIS

სარჩევი

5 შესავალი

5 მეთოდოლოგია

6 შერჩევა

7 ძირითადი მიგნებები

8 კვლევის შედეგები

8 **1. ინფორმირებულობა მედიაციისა და არბიტრაჟის შესახებ**

8 1.1 მედიაციის/არბიტრაჟის ცნობადობა

13 1.2 ინფორმაციის წყაროები

16 1.3 რა არის მედიაცია/არბიტრაჟი?

18 **2. მედიაციისა და არბიტრაჟის მიმართ დამოკიდებულებები**

18 2.1 ტერმინთა ცნობა განმარტების მიღების შემდგომ

20 2.2 მედიაციისადმი/არბიტრაჟისადმი ნდობა

23 2.3 მედიაციის/არბიტრაჟის უპირატესობები სასამართლოსთან მიმართებით

25 2.4 მედიაციის/არბიტრაჟის ნაკლოვანებები სასამართლოსთან მიმართებით

27 2.5 პრიორიტეტების განაწილება მედიაცია/არბიტრაჟს და სასამართლოს შორის

29 **3. მედიაციისადმი/არბიტრაჟისადმი მიმართვის გამოცდილება**

29 3.1 მიმართვის გამოცდილება

29 3.2 გაწეული სერვისით კმაყოფილება

30 დემოგრაფიული სურათი

შესავალი

მედიაცია და არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს წარმოადგენს. მედიაცია არის პროცესი რომლის საშუალებითაც, ორი ან რამდენიმე მხარე მედიატორის დახმარებით ცდილობს დავის ურთიერთშეთანხმებით დასრულებას. ხოლო მედიატორი არის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი პროფესიონალი, რომელიც ეხმარება მხარეებს დავის მოგვარების მიზნით მორიგების მიღწევაში ისე, რომ თავად არ ახდენს გავლენას მხარეთა შეთანხმების პირობებზე. მედიაცია ხშირად გამოიყენება საოჯახო, მემკვიდრეობით, სამეზობლო და ქონებრივი ხასიათის დავებზე. მედიაციის პროცესი კონფიდენციალურია, დამყარებულია მხარეთა ნებაყოფლობითობაზე, თვითგამორკვევაზე და მაქსიმალურად მორგებულია მხარეთა ინტრესებზე. მედიაცია სისწრაფით და მოქნილობით გამოირჩევა.

არბიტრაჟით გადაწყვეტას ექვემდებარება პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავები. საარბიტრაჟო წარმოებისათვის აუცილებელია მხარეთა შორის არსებობდეს შეთანხმება დავის არბიტრაჟით გადაწყვეტის შესახებ. მხარეთა შეთანხმება განსაზღვრავს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორებიცაა: საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობა და მისი არჩევის წესი, საარბიტრაჟო განხილვის ჩატარების ადგილი, გამოსაყენებელი ნორმები და აშ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის საბოლოო და არ საჩივრდება. მისი გაუქმება დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული საფუძვლებით, რომელსაც კანონი განსაზღვრავს. საარბიტრაჟო წარმოება სასამართლოსთან შედარებით მეტი მოქნილობითა და სისწრაფით გამოირჩევა. ის კომერციული დავების გადაწყვეტისთვის საუკეთესო ალტერნატივად არის აღირებული მსოფლიოში.

2017 წელს გამოქვეყნდა, 2016 წელს ჩატარებული კვლევა სახელწოდებით „ადამიანის უფლებები და მართლმსაჯულება საქართველოში: საზოგადოების დამოკიდებულება და ინფორმირებულობა.“[1] კვლევა განხორციელდა ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინიციატივით (შემდგომში „2016 წლის კვლევა“). 2016 წლის კვლევის ერთ-ერთი ქვეთავი სწორედ მედიაციასა და არბიტრაჟს შეეხებოდა. კვლევის ფარგლებში შეფასდა მედიაციის/არბიტრაჟის მექანიზმებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი (ინფორმირებულობა, ნდობა, პრაქტიკაში გამოყენება და სხვ.). წინამდებარე კვლევის ფარგლებში წარმოდგენილია როგორც 2016 წლის, ასევე განმეორებითი კვლევის შედეგები. ანგარიში ითვალისწინებს ამ მონაცემთა ურთიერთმიმართების ჭრილში განხილვას და შედარებას.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზნად განისაზღვრა საქართველოში დავის ალტერნატიული გადაწყვეტის საშუალებების, მედიაციისა და არბიტრაჟის, შესახებ ინფორმირებულობის, მათ მიმართ ნდობისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების გამოცდილების შესწავლა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, მასობრივი გამოკითხვა. კვლევამ მოიცვა საქართველოს ქალაქის მოსახლეობა და ჩატარდა 9 ქალაქში: თბილისი, თელავი, ახალციხე, მარნეული, გორი, ქუთაისი, ოზურგეთი, ზუგდიდი და ბათუმი. სამიზნე აუდიტორიას წარმოადგენდნენ აღნიშნულ ქალაქებში მცხოვრები 18 წლის და ზემოთ ასაკის ინდივიდები.

[1] https://www.ge.undp.org/content/georgia/en/home/library/democratic_governance/human_rights_survey_2017.html?fbclid=IwAR2uibrmi1G-607cRM_kwuDSpEDORA6iZkgRg31cPxfSApYFDD3OoZ1ObUhs

შერჩევა:

რესპონდენტების შერჩევის მოდელად განისაზღვრა ალბათური შერჩევის მეთოდი, კერძოდ, კლასტერული შერჩევის მიდგომა წინასწარი სტრატიფიკაციით.

სტრატიფიცირების კუთხით, გამოიყო 9 სტრატა, რომლებიც დედაქალაქის და საკვლევი რეგიონების ურბანულ ცენტრებს (ქალაქს) წარმოადგენს.

კლასტერიზაციის პროცესი განხორციელდა სამ ძირითად დონეზე:

- პირველადი შერჩევის წერტილები (PSU): საარჩევნო უბნები;
- მეორადი შერჩევის წერტილები (SSU): შინამეურნეობა;
- საბოლოო შერჩევის წერტილები (FSU): ზრდასრული ინდივიდი (18 წლის და მეტის).

კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 1,560-მა რესპონდენტმა. ზემოთ განხილული შერჩევის მოდელის გათვალისწინებით, მიღებული შედეგები რეპრეზენტატულია სქესის, ასაკობრივი ჯგუფების, განათლების დონის და სხვა მახასიათებლების ჭრილში. თითოეულ ქალაქში გამოკითხულთა რაოდენობის გადანაწილება წარმოდგენილია ცხრილში #1:

ცხრილი #1

ქალაქი	გამოკითხულთა რაოდენობა	შერჩევის ცდომილება (95%-იანი საიმედოობით)
თბილისი	500	
თელავი	120	
ახალციხე	100	
მარნეული	100	
გორი	120	
ქუთაისი	200	
ოზურგეთი	100	
ზუგდიდი	120	
ბათუმი	200	
სულ:	**1,560**	**2.5%**

კვლევა ჩატარდა პირისპირი ინტერვიუს მეთოდით, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ მოწოდებული კვლევის ინსტრუმენტით - კითხვარით, რომელიც გამოყენებული იყო ზემოთ აღნიშნულ 2016 წლის კვლევაში. რესპონდენტებისთვის შეთავაზებული კითხვარი შედგებოდა როგორც დახურული, ასევე ნახევრადსტრუქტურირებული შეკითხვებისგან და შეეხებოდა ინდივიდების ინფორმირებულობას მედიაციისა და არბიტრაჟის შესახებ; ასევე, ინფორმაციის მიღების წყაროებს; მათ შეფასებებს; აღნიშნული მექანიზმების მიმართ ნდობასა და მათ გამოყენებას.

ძირითადი მიგნებები

საქართველოს ურბანული მოსახლეობის ზოგადი ინფორმირებულობა (სმენიათ თუ არა) მედიაციისა და არბიტრაჟის შესახებ დაბალია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები არბიტრაჟის შესახებ მეტ ინფორმაციას ფლობენ, მედიაციასთან შედარებით (მედიაციის შესახებ არ სმენია 86.6%-ს, ხოლო არბიტრაჟის შესახებ - 69.7%-ს). ასაკობრივ ჭრილში განხილვისას, ყველაზე ინფორმირებული 45-64 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები აღმოჩნდნენ.

განათლების ჭრილში ინფორმირებულობის განხილვამ აჩვენა, რომ როგორც მედიაციასთან, ისე არბიტრაჟთან მიმართებით დადებითი პასუხები, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე ხშირად უმაღლესი (მათ შორის, დაუმთავრებელი უმაღლესი) განათლების რესპონდენტებმა დააფიქსირეს.

როგორც მედიაციის, ისე არბიტრაჟის შემთხვევაში ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს ტელევიზია წარმოადგენს. განსაკუთრებით მაღალია ეს მაჩვენებელი 65 წლის და მეტი ასაკობრივი კატეგორიისათვის. ინფორმაციის წყაროდ მეტ-ნაკლებად აქტიურად დასახელდა, აგრეთვე, სოციალური ქსელები და ნაცნობები.

აღსანიშნავია, რომ იმ ასაკობრივ კატეგორიებში, რომლებშიც მედიაციის/არბიტრაჟის შესახებ სმენადობა ყველაზე მაღალია (45-54 და 55-64), ტელევიზიით მიღებული ინფორმაცია ასევე მოწინავე პოზიციაზეა. რაც შეეხება უფრო ახალგაზრდულ - 18-44 ასაკობრივ კატეგორიას, ამ შემთხვევაში მედიაციისა და არბიტრაჟის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სოციალური ქსელები წარმოადგენს.

რესპონდენტებმა გამოხატეს საკუთარი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოიაზრებს მედიციისა და არბიტრაჟის მექანიზმები. მცირეა იმ გამოკითხულთა რიცხვი, რომლებმაც სწორად მიუთითეს მედიაციისა და არბიტრაჟის ძირითადი მახასიათებლების შესახებ. აღსანიშნავია, რომ იმ რესპონდენტთა რიცხვი, ვინც არბიტრაჟთან დაკავშირებით სწორ ინფორმაციას ფლობს, მედიაციასთან შედარებით მაღალია. მთლიანობაში მხოლოდ 34 რესპონდენტი (19.3) აღმოჩნდა ისეთი, ვინც მინიმუმ ერთი სწორი პასუხი მაინც გასცა შეთავაზებული 2 სწორი პასუხიდან (და მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა აირჩია ორივე სწორი პასუხი). არბიტრაჟის შემთხვევაში, მინიმუმ ერთი სწორი პასუხის გამცემთა რაოდენობაა 174 რესპონდენტი (36.8%).

მედიაციისა და არბიტრაჟის შესახებ კითხვარში წარმოდგენილმა განმარტებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპონდენტთა ინფორმირებულობის გაზრდის თვალსაზრისით - ძირითადად, მედიაციასთან დაკავშირებით. განმარტების მოსმენის შემდეგ, მედიაციის კომპონენტში, ინფორმირებულობის (სმენიათ თუ არა) მაჩვენებელი 13.4%-დან 28.9%-მდე გაიზარდა; არბიტრაჟის შემთხვევაში ინფორმირებულთა წილის ზრდა უმნიშვნელოა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არბიტრაჟის შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობა, მედიაციასთან შედარებით, უფრო მყარი და სტაბილურია.

რაც შეეხება მედიაციის/არბიტრაჟის მიმართ ნდობის ფაქტორს, რესპონდენტები უმეტეს შემთხვევაში შუალედურ პოზიციაზე რჩებიან და აფიქსირებენ, რომ მიწოდებული განმარტებები მათ „გარკვეულწილად აღუძრავს ნდობას“ როგორც მედიაციის, ასევე არბიტრაჟის მიმართ.

სასამართლოსთან შედარებით მედიაციის/არბიტრაჟის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ რესპონდენტებმა, შეფასების პროცესში, განმსაზღვრელ ფაქტორად, სასამართლოსთან შედარებით მედიაციისა და არბიტრაჟის მექანიზმების ნაკლებად ფორმალური ხასიათი მიიჩნიეს. აქ ის იგულისხმება, რომ რესპონდენტები დადებით კონტექსტში მოიხსენიებენ მედიაციის/არბიტრაჟის პროცესის სისწრაფესა და მოქნილობას; თუმცა, ამავდროულად, აწუხებთ ის ფაქტი, რომ მსგავს პროცესებს შესაძლოა არ ჰქონდეს მკაცრად რეგულაციური ხასიათი, რამაც მოსალოდნელია საფრთხე შეუქმნას გადაწყვეტილებების აღსრულებადობას. მიუხედავად აღნიშნული საშიშროებისა, რესპონდენტთა უმეტესობა აფიქსირებს, რომ სასამართლოსთან შედარებით, უფრო არჩევდნენ მედიაციისა ან არბიტრაჟის მექანიზმების გამოყენებას.

2016 წელს ჩატარებულ კვლევასთან შედარებით, 2019 წელს ჩატარებული კვლევის მონაცემები არ გვაძლევს მნიშვნელოვან განსხვავებებს მედიაციისა და არბიტრაჟის შესახებ ინფორმირებულობის, დამოკიდებულებებისა თუ მათი გამოყენების გამოცდილების ჭრილში. ამ მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებელი კვლავ დაბალი რჩება, განსაკუთრებით - მედიაციის შემთხვევაში. ინფორმაციის აქტუალურ წყაროდ კვლავ ტელევიზია მოიაზრება, თუმცა, 2016 წელთან შედარებით, შეინიშნება ტელევიზიის როლის კლება სოციალური ქსელებისა და ნაცნობებისგან მიღებული ინფორმაციის ხარჯზე. მედიაციისა და არბიტრაჟის მიმართ ნდობის განსაზღვრისას, ორივე კვლევაში წამყვანია შუალედური პოზიცია - *„რამდენადმე აღძრავს ნდობას“*. ასევე, სასამართლოსთან შედარებით მედიაციის/არბიტრაჟის უპირატესობებსა და ნაკლოვანებებზე მსჯელობისას რესპონდენტები მსგავს ფაქტორებს გამოყოფენ. 2019 წლის კვლევა ერთ ხელშესახებ განსხვავებას გვაძლევს: უფრო მეტია იმ რესპონდენტთა წილი, ვისაც, დავების გადაწყვეტისას, მედიაციისა და არბიტრაჟის გამოყენება ურჩევნია, ვიდრე სასამართლოსი. თუმცა, მეორე მხრივ, კვლავ უაღრესად დაბალია მედიაციისა თუ არბიტრაჟისადმი მიმართვიანობა.

კვლევის შედეგები

კითხვარმა მოიცვა ორი ბლოკი, რომლებშიც წარმოდგენილი იყო იდენტური შეკითხვები: პირველი ეხებოდა მედიაციას, ხოლო მეორე - არბიტრაჟს. კითხვარში არსებული შეკითხვები, ერთი მხრივ, დაკავშირებულია რესპონდენტების ინფორმირებულობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ნაწილობრივ მათ გამოცდილებასაც შეეხება.

1. ინფორმირებულობა მედიაციისა და არბიტრაჟის შესახებ

1.1 მედიაციის/არბიტრაჟის ცნობადობა

კვლევის ფარგლებში, თავდაპირველად, შევისწავლეთ რესპონდენტების **ინფორმირებულობა** - **სმენიათ თუ არა** მედიაციის და არბიტრაჟის შესახებ.

მონაცემების გაანალიზების საფუძველზე დადგინდა, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (86.6%) **მედიაციასთან** დაკავშირებულ არანაირ ინფორმაციას არ ფლობს. კითხვაზე დადებით პასუხს აფიქსირებს მხოლოდ რესპონდენტთა 13.4%.

ხაზგასასმელია, რომ 2016 წლის კვლევის თანახმად, საკვლევი პერიოდისათვის მედიაციის ცნობადობა ასევე დაბალი იყო და 14%-ს შეადგენდა. ამის მიზეზად, დასახელდება ის, რომ რესპონდენტთა ნაწილი შეცდომაში შეჰყავს ტერმინის ჟღერადობას (სინტაქსს), მას უკავშირებენ მედიის საქმიანობას, ან ესმით ფართო გაგებით, თუმცა არა სამართლებრივ კონტექსტში.

ამავე კვლევის თანახამად მათი რაოდენობა, ვისაც მედიაციის შესახებ სმენია, მცირედით მეტი იყო თბილისში (19%); ხოლო ახალი კვლევის თანახმად, თბილისში გამოკითხულ რესპონდენტებს შორის 15.2%-ს სმენია მედიაციის შესახებ.

მნიშვნელოვანი სხვაობები არ აღინიშნება სქესის ჭრილში განხილვისას, როგორც ძველ, ისე ახალ მონაცემებში.

რაც შეეხება **არბიტრაჟს,** უფრო მეტ რესპონდენტს სმენია არბიტრაჟის შესახებ. კითხვაზე დადებით პასუხს აფიქსირებს რესპონდენტთა 30.3%. მიუხედავად ამისა, არბიტრაჟის შესახებ ინფორმირებულობის მონაცემებს შორის, კვლავ მნიშვნელოვნად ჭარბობს უარყოფითი პასუხები, (რესპონდენტთა 69.7%-ს არ სმენია არბიტრაჟის შესახებ). *(დიაგრამა 1):*

დიაგრამა #1



მიმდინარე კვლევა არსებითად იმეორებს 2016 წელს ჩატარებული გამოკითხვის მონაცემებს: ისევე როგორც აღნიშნულ კვლევაში, არბიტრაჟის შესახებ ინფორმაციას მედიაციასთან შედარებით რესპონდენტთა ორჯერ მეტი რაოდენობა ფლობს. თუ 2016 წლის გამოკითხულთა შორის ეს იყო 29%, ამჟამინდელ მონაცემებში მათი წილი 30.3% ს შეადგენს.

ამასთან, იდენტურია მონაცემები თბილისის ჭრილში: 2016 წელს არბიტრაჟის თაობაზე ინფორმირებული იყო გამოკითხულთა 44%, ხოლო ამჟამად 43.4%.

აღნიშნული საკითხი **ასაკისა** და **განათლების** ცვლადთან მიმართებით განვიხილეთ, რამდენადაც, შესაძლოა, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისა და განათლების მქონე ინდივიდებს განსხვავებული ინფორმირებულობის დონე ჰქონდეთ.

კვლევის ფარგლებში გამოყოფილი იყო 6 ასაკობრივი კატეგორია: 18-24; 25-34; 35-44; 45-54; 55-64; 65 წლის და მეტის. როგორც აღმოჩნდა, მედიაციის შესახებ დაბალი ინფორმირებულობის ფონზე, შედარებით მაღალი ინფორმირებულობა 45-54 წლის კატეგორიაში მოქცეულ რესპონდენტებს აქვთ, რაც გამოკითხულთა სრული რაოდენობის 18.8%-ს უტოლდება *(დიაგრამა 2):*

დიაგრამა #2

გსმენიათ თუ არა რაიმე მედიაციის შესახებ/ასაკი (N=1560)



2016 წლის გამოკითხვის მონაცემები რამდენადმე განსხვავებულია: მედიაციის შესახებ ინფორმაციას ყველაზე მეტად 35-44 ასაკობრივ კატეგორიაში ფლობდნენ (17%). თუმცა, ძველი შედეგების ანალოგიურად, გამოკითხვა აჩვენებს, რომ 65 წელს ზემოთ გამოკითხულ რესპონდენტებს ყველაზე ნაკლებად სმენიათ მედიაციის შესახებ (89.9%). მედიაციის შესახებ ინფორმირებულობა ასევე დაბალია 18-24 წლის რესპონდენტებს შორის (86%). (დიაგრამა 3)

დიაგრამა #3

გსმენიათ თუ არა რაიმე მედიაციის შესახებ? (2016 წ, N=5002)



ისევე როგორც მედიაციის შემთხვევაში, არბიტრაჟის შესახებ ყველაზე მაღალი ინფორმირებულობის (სმენიათ თუ არა) დონე კვლავ 45-54 ასაკობრივ ჯგუფში ფიქსირდება - 38.6%. არბიტრაჟის შესახებ ინფორმაცია 18-24 ასაკობრივ ჯგუფში ყველაზე ნაკლებად არის გავრცელებული. აღნიშნულ ჯგუფში რესპონდენტთა 19.9%-ს სმენია, ხოლო 80.1%-ს არაფერი სმენია არბიტრაჟის შესახებ. არბიტრაჟის შემთხვევაში, 45 წელს გადაცილებული რესპონდენტები შედარებით ინფორმირებულნი არიან ვიდრე ამ ასაკს ქვემოთ გამოკითხული რესპონდენტები *(დიაგრამა 4):*

დიაგრამა #4

გსმენიათ თუ არა რაიმე არბიტრაჟის შესახებ / ასაკი (N=1560)



აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ჩატარებული გამოკითხვა იმეორებს არბიტრაჟის შესახებ ინფორმირებულობის ასაკთან კორელაციის ერთ მნიშვნელოვან ტენდენციას: ძველ კვლევაშიც ყველაზე არა-ინფორმირებულები იყვნენ 18-24 ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტები. (დიაგრამა 5)

დიაგრამა #5

გსმენიათ თუ არა რაიმე არბიტრაჟის შესახებ? (2016წ, 5002)



როგორც უკვე აღინიშნა, მედიაციის და არბიტრაჟის შესახებ ცნობადობის საკითხი განხილული იქნა განათლების ცვლადთან მიმართებითაც. კითხვარში წარმოდგენილი განათლების დონეები, მონაცემთა დამუშავების ეტაპზე, დაჯგუფდა სამ კატეგორიად:

1. **არასრული საშუალო და უფრო დაბალი** - რაც აერთიანებს შემდეგ დონეებს: „საერთოდ არ მივლია სკოლაში“, „დაწყებითი (4 კლასის ჩათვლით)“, „არასრული საშუალო (9 კლასის ჩათვლით)“;

2. **სრული საშუალო და საშუალო ტექნიკური** - აერთიანებს შემდეგ დონეებს: „სრული საშუალო (12 კლასი)“, „საშუალო ტექნიკური (პროფ. ტექნიკუმი, ტექნიკუმი)“;

3. **არასრული უმაღლესი და უფრო მაღალი** - ერთიანდება: „არასრული უმაღლესი“, „უმაღლესი (ინსტიტუტი, უნივერსიტეტი)“, „მაძიებელი/ასპირანტურა/სამეცნიერო ხარისხი (კანდიდატი/დოქტორი)“.

მედიაციის და არბიტრაჟის შესახებ ინფორმირებულობაც სწორედ ამ სამი ძირითადი ჯგუფის მიხედვით შეფასდა. განათლების შემთხვევაშიც, მედიაციის შესახებ საერთო არაინფორმირებულობის ფონზე, აღმოჩნდა, რომ რაც უფრო იზრდება მიღწეული განათლების დონე, საკითხის შესახებ ინფორმირებულობის მაჩვენებელიც იმატებს. შესაბამისად, „არასრულ უმაღლეს და უფრო მაღალ“ კატეგორიაში გაერთიანებული რესპონდენტების 19.8%-ს სმენია მედიაციის შესახებ, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია განათლების ჭრილში. როგორც აღმოჩნდა, ვისაც არასრული საშუალო ან განათლების უფრო ქვედა საფეხური აქვთ დასრულებული, მხოლო 3.4% ფლობს მედიაციის შესახებ გარკვეულ ინფორმაციას.

არბიტრაჟის შემთხვევაში, მედიაციის მსგავსად, „არასრული უმაღლესი და უფრო მაღალი“ კატეგორიის ქვეჯგუფში დადებითი პასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. კონკრეტულად, ამ კატეგორიაში არსებული პასუხების 45.1% დადებითია. ვისაც არასრული საშუალო ან განათლების უფრო ქვედა საფეხური აქვთ დასრულებული, მათგან მხოლოდ 13.8% ფლობს ინფორმაციას არბიტრაჟის შესახებ. შესაბამისად, განათლების დონის თითოეულ კატეგორიაში პროცენტული განაწილების გათვალისწინებით, რაც უფრო იზრდება განათლების დონე, მით მეტია არბიტრაჟის შესახებ ინფორმირებულობის შესახებ დადებითი პასუხის შემთხვევები *(დიაგრამა 6):*

დიაგრამა #6

გსმენიათ თუ არა მედიაციის/არბიტრაჟის შესახებ? / განათლების ჭრილში (N=1560)



1.2 ინფორმაციის წყაროები

აღსანიშნავია, რომ მედიაციისა და არბიტრაჟის ინფორმირებულობის შესახებ შეკითხვა ერთგვარ ფილტრს წარმოადგენდა იმისთვის, რომ დაგვედგინა ის **წყაროები,** რომელთა გამოყენებითაც ინდივიდები იღებენ განსაზღვრულ ინფორმაციას. ამ საკითხის შესასწავლად რესპონდენტებს შევთავაზეთ ნახევრად დახურული შეკითხვა, რომლის პასუხების კატეგორიაში შეეძლოთ საკუთარი მოსაზრების დამატებაც (ანუ, მათ ჰქონდათ საშუალება „სხვა“ კატეგორიაში ის წყარო მიეთითებინათ, რომელსაც იყენებენ, თუმცა, ჩამოთვლილ პასუხებში არ იყო წარმოდგენილი).

მედიაციის შესახებ ინფორმაციის წყაროებს შორის, ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მიიღო **ტელევიზიამ** (73.3%), შემდეგ - ნაცნობებმა (22.9%) და სოციალურმა ქსელებმა (21.8%) *(დიაგრამა 7):*

დიაგრამა #7



გამოკითხვის ეს შედეგი თანხმობაშია 2016 წელს ჩატარებულ კვლევასთან, გარკვეული მოდიფიკაციით: წინა გამოკითხვის თანახმად ტელევიზიის, როგორც საინფორმაციო წყაროს, წილი 83%-ს შეადგენდა, სოციალურ ქსელებზე 16%, ხოლო ნაცნობებზე - 14% მოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზია, როგორც ინფორმაციის წყარო ახალ კვლევაში კვლავ ლიდერობს, აღსანიშნავია, რომ მისი პროცენტული წილი შემცირებულია, ხოლო ნაცნობებისა და სოციალური ქსელების როლი გაზრდილია ინფორმაციის მიღების პროცესში. (დიაგრამა 7)

აღნიშნული საკითხი **ასაკის** ჭრილში გავაანალიზეთ, ანუ დავადგინეთ ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლების მიხედვით რა წყაროები სახელდება (აღსანიშნავია, რომ ასაკის ჭრილში გამოვლენილი მაჩვენებლები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია (X2=127.924, (df=55), p=0), ანუ შესაძლებელია მათი დახმარებით ჯგუფებს შორის შედარებების დადგენა და შეფასება). აღმოჩნდა, რომ თითოეული ასაკობრივი კატეგორიის შემთხვევაში, ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მიიღო ტელევიზიამ, რაც შემდეგნაირად გადანაწილდა: 18-24 წელი - 36.5%; 25-34 წელი - 54.8%; 35-44 წელი - 43.3.%; 45-54 წელი - 46.3%; 55-64 წელი - 52.9%; 65 და მეტი წლის - 53.6%. *(დიაგრამა 8):*

დიაგრამა #8



მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ასაკობრივ კატეგორიაში მეტ-ნაკლებად იდენტური პასუხები ფიქსირდება, საყურადღებოა, რომ 18-24 წლის ასაკის რესპონდენტები ისეთ სხვა წყაროსაც ასახელებენ, როგორიცაა **„სკოლა ან უნივერსიტეტი“.** აღიშნული პასუხი, ამ ასაკობრივი ჯგუფის შემთხვევაში, მოწინავე პოზიციებსაც კი იკავებს 21.3%-ით და მხოლოდ ტელევიზიას ჩამორჩება. თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში ერთ-ერთ მნიშნელოვან წყაროს წარმოადგენს **„სოციალური ქსელები“,** რაც სხვადასხვა პროცენტული მაჩვენებლითაა წარმოდგენილი: 18-24 წელი - 6%; 25-34 წელი - 14.8%; 35-44 წელი - 28.6%; 45-54 წელი - 12.1%; 55-64 წელი - 11.3%; 65 და მეტი წლის - 6.7%. როგორც აღმოჩნდა, აღნიშნული წყარო უფრო მეტად გამოყენებადია 35-44 ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტებში. 18-24 და 65 და მეტი წლის ასაკობრივ კატეგორიებში გამოვლინდა ალტერნატიული წყაროები, რომლებსაც შედარებით აქტიურად მოიხმარენ: 18-24 წლის რესპონდენტების 20.7%-სთვის მედიაციის შესახებ ინფორმაციის მიღების ერთ-ერთ საშუალებას ნაცნობები წარმოადგენენ; ხოლო 65 და მეტი წლის კატეგორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ ბეჭდურ მედიას ასახელებენ - 11.9%, რაც ამ ასაკობრივი ჯგუფისთვის პროცენტულად მხოლოდ ტელევიზიას ჩამოუვარდება.

არბიტრაჟის შემთხვევაში, მედიაციის მსგავსად, ყველაზე ხშირად ინფორმაციის წყაროდ დასახელდა „ტელევიზია“ (80.7%). ინფორმაციის მისაღებად გამოიყენება, აგრეთვე, ისეთი არაფორმალური წყაროები, როგორებიცაა ნაცნობები (15.7%) და სოციალური ქსელები (15.2%) *(იხ. დიაგრამა 9):*

დიაგრამა #9



მსგავსი ტენდენციები გამოიკვეთა 2016 წლის გამოკითხვაშიც. ტელევიზიას, როგორც ინფორმაციის წყაროს ასახელებს 87%, ნაცნობებს - 15%, ხოლო სოციალურ ქსელებს - 10%. ისევე როგორც მედიაციის თაობაზე ძველი და ახალი კვლევის მონაცემების შედარებისას, არბიტრაჟის შესახებ ინფორმაციის მიღების კომპონენტში ტელევიზიის წილი კვლავ მცირდება, ხოლო ნაცნობებისა და სოციალური ქსელების როლი მატულობს. (დიაგრამა 9)

საინფორმაციო წყაროების გავლენა მჭიდრო კავშირში აღმოჩნდა ასაკსა და სქესთანაც. მართალია, თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში, ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მიიღო ტელევიზიამ, თუმცა, ტელევიზია ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო აღმოჩნდა „65 წლის და მეტი“ ასაკობრივი კატეგორიისათვის: 18-24 წელი - 51.3%; 25-34 წელი - 56%; 35-44 წელი - 52.5%; 45-54 წელი - 56.6%; 55-64 წელი - 59%; 65 და მეტი წლის - 68.3%.

აქვე აღსანიშნავია, რომ 45 წელს ქვემოთ ასაკობრივ კატეგორიებში არბიტრაჟის შესახებ საინფორმაციო წყაროდ აქტიურად სახელდება, აგრეთვე, „სოციალური ქსელები“. აღნიშნული წყაროს განაწილება ასაკობრივ ჯგუფებს შორის შემდეგია: 18-24 წელი - 16.6%; 25-34 წელი - 17.1%; 35-44 წელი - 15.7%; 45-54 წელი - 8.5%; 55-64 წელი - 8.6%; 65 და მეტი წლის - 1.2%.

აღსანიშნავია, რომ ტელევიზიის შემდეგ, ყველაზე ხშირად სახელდება „ნაცნობები“ (11.2%) როგორც საინფორმაციო წყარო; აღნიშნული პასუხი მიახლოებით თანაბრად სახელდება ყველა კატეგორიაში, გარდა 55-64 ასაკობრივი ჯგუფისა, სადაც ნაცნობები, როგორც ინფორმაციის წყარო ყველაზე იშვიათად ფიქსირდება (5.1%) *(დიაგრამა 10):*

დიაგრამა #10



1.3 რა არის მედიაცია/არბიტრაჟი?

მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტებმა შეაფასეს, სმენიათ თუ არა მედიაციის შესახებ და ინფორმაციის შესაბამისი წყაროებიც დაასახელეს, **მნიშვნელოვანი იყო იმის გაანალიზება, რეალურად რა ცოდნას ფლობენ რესპონდენტები მედიაციის და არბიტრაჟის შესახებ.** ეს ანალიზი, ცხადია, შეეხო რესპონდენტთა იმ ჯგუფს, რომელმაც განაცხადა რომ სმენია მედიაციის/არბიტრაჟის შესახებ. ვთხოვეთ, შეეფასებინათ მათი ინფორმაციით, **რა არის მედიაცია.** ამისათვის შევთავაზეთ ნახევრადსტრუქტურირებული შეკითხვა, რომელშიც „სხვა“ კატეგორიის გარდა მოცემული იყო 6 პასუხი. აქვე, აუცილებელია იმის განმარტება, რომ არსებული პასუხებიდან ზოგიერთი პასუხი იყო ჭეშმარიტი, ხოლო ზოგი - მცდარი. ანუ, ფაქტობრივად, განხორციელდა რესპონდენტების ტესტირება.

მედიაციის შესახებ **სწორი პასუხები** შემდეგნაირად გამოიყურება:

- „ეს არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც აუცილებლად არ მთავრდება მორიგებით“;
- „ეს არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც გამოიყენება ნაკლებად მძიმე დავების დროს“.

მონაცემთა ანალიზისთვის შემდეგი მიდგომა შევიმუშავეთ: ჭეშმარიტება-მცდარობის თვალსაზრისით, გამოვყავით ისეთი რესპონდენტები, რომლებმაც ორი სწორი პასუხიდან ერთი მაინც აირჩიეს. მსგავსი მიდგომის გათვალისწინებით, მთლიანობაში 34 რესპონდენტი აღმოჩნდა ისეთი, რომლებმაც მინიმუმ ერთი სწორი პასუხი მაინც გასცეს, რაც 19.3%-ს შეადგენს იმ რესპონდენტებს შორის, ვინც დაასახელა, რომ ფლობს ინფორმაციას მედიაციის შესახებ. 33-მა რესპონდენტმა (18.8%) მხოლოდ 1 სწორი პასუხი დააფიქსირა; მხოლოდ 1 რესპონდენტი (0.5%) აღმოჩნდა ისეთი, ვინც ორივე პასუხი სწორად დააფიქსირა. რაც შეეხება მცდარ პასუხებს, ყველაზე ხშირად (26.7%) რესპონდენტები მიუთითებდნენ იმაზე, რომ მედიაცია არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიღწეული შეთანხმების შესრულება ნებაყოფლობითია. ამავდროულად ეს არის ყველაზე ხშირად დასახელებადი დებულება სხვა პასუხებთან მიმართებით. რიგით მეორე და მესამე, ყველაზე ხშირად დასახელებული, დებულებებია: *„მედიაცია არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც აუცილებლად მთავრდება მორიგებით“* (25.3%) და *„მედიაცია გამოიყენება ნაკლებად მძიმე დავების დროს“* (11.2%).

მსგავსი მეთოდოლოგიით, რესპონდენტებს კითხვა მიეწოდათ არბიტრაჟის შესახებ. **სწორი პასუხები** შემდეგნაირად გამოიყურება:

- ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიღებული გადაწყვეტილების შესრულება უზრუნველყოფილია სასამართლოს მიერ
- ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი ფიზიკურ პირებს შორის
- ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი ფიზიკურ პირსა და ბიზნესს შორის
- ეს არის ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი ბიზნესებს შორის

არბიტრაჟის შემთხვევაში ჯამში გამოვლინდა 174 შემთხვევა, (36.8%) როდესაც რესპონდენტებმა ერთი სწორი პასუხი მაინც დააფიქსირეს. ყველაზე ხშირად, ტერმინი სწორად განიმარტა, როგორც ქონებრივი დავის გადაწყვეტის მეთოდი ფიზიკურ პირსა და ბიზნესს შორის (18%).

არბიტრაჟთან მიმართებით, სწორი პასუხების ხვედრითი წილები შემდეგნაირად გადანაწილდა: 125-მა რესპონდენტმა (26.4%) დააფიქსირა 1 სწორი პასუხი, 25-მა რესპონდენტმა (5.3%) 2 სწორი პასუხის გაცემა შეძლო, 3 სწორი პასუხი დააფიქსირა 5-მა ადამიანმა (1.1%), ხოლო 3 რესპონდენტი (0.6%) აღმოჩნდა ისეთი, ვინც 4 სწორი დებულების შერჩევა შეძლო *(დიაგრამა 11):*

დიაგრამა #11



ყველაზე ხშირად არბიტრაჟის პროცესის აღსაწერად გამოიყენება დებულება: *„ეს არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მიღწეული შეთანხმების შესრულება ნებაყოფლობითია“* (24.7%). 16.8%-ს შეადგენს იმ პასუხის წილს, რომლის თანახმადაც *„არბიტრაჟი არის ნებისმიერი ტიპის დავა, რომლის გადაწყვეტილების შესრულებას უზრუნველყოფს სასამართლო“*. ამავდროულად, ეს არის მეორე ყველაზე დასახელებადი პასუხი.

აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ჩატარებული გამოკითხვა, როგორც მედიაციის, ისე არბიტრაჟის აღმწერი დებულებების გაზიარების თვალსაზრისით, პრაქტიკულად იდენტურ შედეგებს აჩვენებს.

2. მედიაციისა და არბიტრაჟის მიმართ დამოკიდებულებები

2.1 ტერმინთა ცნობა განმარტების მიღების შემდგომ

როგორც წინა თავში აღინიშნა, რესპონდენტებმა შეაფასეს და გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები თუ რა არის მათი აზრით მედიაცია და არბიტრაჟი. იმისათვის, რომ ზოგიერთი მათგანისთვის შეგვეხსენებინა, დაგვეზუსტებინა ან განგვემარტა, თუ რას ნიშნავს მედიაცია და არბიტრაჟი (იგულისხმება ის რესპონდენტებიც, ვისაც აქამდე არ სმენიათ მედიაციის ან არბიტრაჟის შესახებ არაფერი), რესპონდენტებს შევთავაზეთ მედიაციისა და არბიტრაჟის მოკლე განმარტებები, რომლებიც მათ ძირითად მახასიათებლებს აერთიანებდა. კვლევის ფარგლებში მსგავს მითითებას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა: პირველი ის, რომ იმ რესპონდენტების ცოდნა გაღრმავებულიყო და დაზუსტებულიყო, რომელთაც აღნიშნეს, რომ სმენიათ მედიაციის ან არბიტრაჟის შესახებ; ხოლო, მეორე მხრივ, იმ ინდივიდებისთვის, ვინც არანაირ ინფორმაციას არ ფლობს საკითხის შესახებ, მიგვეწოდებინა პირველადი ცოდნა. ამასთან, მსგავსმა მიდგომამ უზრუნველყო რესპონდენტების „შენარჩუნება“ - მიუხედავად იმისა, გამოკითხვამდე ჰქონდათ თუ არა მათ ინფორმაცია მედიაციისა და არბიტრაჟის შესახებ. განმარტების შემდეგ ყველა მეტ-ნაკლებად თანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ ბოლომდე „დარჩენილიყვნენ“ კვლევაში.

კითხვარში მოცემული იყო მედიაციის შემდეგი განმარტება: *„მედიაცია არის დავის გადაწყვეტის მეთოდი, რომელიც მიმართულია დავების მოლაპარაკების გზით გადაწყვეტისკენ. მედიაციის ფარგლებში დავა წყდება იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მიაღწევენ მათთვის მისაღებ შეთანხმებას. მედიატორი არის ნეიტრალური მესამე პირი, რომელიც ეხმარება მხარეებს მოლაპარაკების წარმართვასა და ორივესთვის მისაღები შედეგის მიღწევაში. მედიაციის დროს გადაწყვეტილებას იღებენ თავად მხარეები. პროცესი კონფიდენციალურია. ძირითადად, მედიაცია გამოიყენება ოჯახური და სამეზობლო დავების დროს. მედიაციის დროს არსებობს შეღავათები გადასახადის თვალსაზრისითაც - ნაცვლად დავის ღირებულების 3%-ისა, რომელსაც მხარე იხდის სასამართლოში, მას უწევს 1%-ის გადახდა, საიდანაც 70% უკან ბრუნდება, თუ დავა შეთანხმებით დასრულდა. მედიაციის დროს წაგება გამორიცხულია.“*

იმისათვის, რათა შეგვეფასებინა, შეასრულა თუ არა ზემოაღნიშნულმა განმარტებამ თავისი მიზანი, რესპონ-დენტებს ვკითხეთ, **მოსმენილის შემდეგ ხომ არ გაახსენდათ, რომ სმენიათ მედიაციის შესახებ.**

როგორც აღმოჩნდა, განმარტების მიცემის შემდეგ, რესპონდენტების გამოკვეთილი უმრავლესობა (71.1%) მაინც უარყოფით პასუხს აფიქსირებს; კერძოდ, რომ არ სმენიათ მედიაციის შესახებ. თუმცა, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია „დიახ“ პასუხის მაჩვენებელი: თუკი კითხვარის დასაწყისში რესპონდენტების მხოლოდ 13.4% მიუთითებდა, რომ ფლობს მედიაციასთან დაკავშირებულ რაიმე სახის ინფორმაციას, აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით იზრდება მოკლე განმარტების გაცნობის შემდეგ: გამოკითხულთა **28.9%** მიუთითებს, რომ მათ სმენიათ მედიაციის შესახებ. როგორც ჩანს, მედიაციის განმარტებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რესპონდენტთა ინფორმირებულობის თვალსაზრისით - ნაწილს უფრო მეტი ცნობა მიაწოდა, ზოგიერთს კი გაახსენა, რომ აქამდეც ფლობდნენ მედიაციის შესახებ ინფორმაციას.

არბიტრაჟისთვის მოცემული განმარტება შემდეგი იყო: *„არბიტრაჟი არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ მათი დავა გადაწყვიტოს საარბიტრაჟო ტრიბუნალმა. არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა. ნებისმიერი დავა, რომელიც განიხილება არბიტრაჟის მიერ განიხილება მკაცრად მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. მხარეთა შეთანხმება განსაზღვრავს ისეთ საკვანძო საკითხებს, როგორიცაა საარბიტრაჟო ტრიბუნალის შემადგენლობის არჩევის წესი, საარბიტრაჟო განხილვის ჩატარების ადგილი, გამოსაყენებელი ნორმები და აშ. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება არის საბოლოო და მხარეთათვის სავალდებულო ძალის მქონე. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დაწყებიდან 180 დღის ვადაში, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა ვადა არ არის დადგენილი. მაგალითად, გამსესხებლები ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სხვ. სესხის ხელშეკრულებაში ერთ-ერთ პუნქტად განსაზღვრავენ დავის არბიტრაჟში გადაწყვეტას. არბიტრაჟის შემთხვევაში, სასამართლოსგან განსხვავებით, არ არსებობს ზემდგომი ინსტანცია, შესაბამისად, დავა ერთი პროცესის ფარგლებში წყდება.“*

განმარტების შემდეგ, რესპონდენტთა უმრავლესობა (68.8%) კვლავ უარყოფით პასუხს აფიქსირებს მიღებულ განმარტებამდე არბიტრაჟის შესახებ ინფორმაციის ფლობის შესახებ. იმისაგან განსხვავებით, რომ განმარტების მიწოდებამ ინფორმირებულობის გარკვეული ზრდა გამოიწვია მედიაციის ნაწილში, არბიტრაჟის შემთხვევაში ეს განსხვავება ფაქტობრივად უმნიშვნელოა: თავდაპირველი მაჩვენებლით, რესპონდენტთა 30.3%-ს ჰქონდა გარკვეული ინფორმაცია არბიტრაჟის შესახებ, განმარტების შემდეგ კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 31.1% მდე გაიზარდა. **ეს მიუთითებს იმაზე, რომ არბიტრაჟის შესახებ რესპონდენტთა ინფორმირებულობა უფრო მყარი და სტაბილურია** *(დიაგრამა 12):*

დიაგრამა #12



მედიაციისა და არბიტრაჟის თაობაზე ინფორმაციის ქონის შესახებ მეორედ დასმული კითხვის შედეგად მიღებული მონაცემების გაანალიზება საინტერესოდ მივიჩნიეთ პირველ კითხვასთან მიმართებით, რომელიც ეხება, ზოგადად, სმენიათ თუ არა მედიაციის/არბიტრაჟის შესახებ.

კროსტაბულაციის მეთოდის გამოყენებით, დავითვალეთ თავდაპირველად და მეორედ დასმულ შეკითხვებზე პასუხების ურთიერთმიმართება. როგორც გამოვლინდა, მათ შორის, ვინც თავდაპირველად უარყოფითი პასუხი დააფიქსირა, განმარტების მოსმენის შემდეგ **21.4%-მა** დააფიქსირა, რომ რეალურად სმენია მედიაციის შესახებ. არბიტრაჟის შესახებ მსგავსი კროსტაბულაციით, პასუხთა შედარების შედეგად დადგინდა, რომ მათ შორის, ვინც თავდაპირველად დააფიქსირა უარყოფითი პასუხი არბიტრაჟის თაობაზე ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, განმარტების მიღების შემდგომ, ამ რესპონდენტთა **14.9%** პასუხობს, რომ სმენია ამ მოვლენის შესახებ.

2.2 მედიაციისადმი/არბიტრაჟისადმი ნდობა

რესპონდენტთათვის მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, საინტერესოდ მივიჩნიეთ მედიაციის მიმართ **ნდობის** შეფასება. აღნიშნული შეკითხვა გაზომილი იყო 3-ქულიან სკალაზე, სადაც 1 აღნიშნავს „საერთოდ არ აღმიძრავს ნდობას“, 2 – „გარკვეულწილად აღმიძრავს ნდობას“; 3 – „აღმიძრავს სრულ ნდობას“. შეიძლება ითქვას, რომ მეორე კატეგორია არის შუალედური პოზიციის გამომხატველი.

როგორც კვლევის შედეგები აჩვენებს, რესპონდენტების თითქმის ნახევარს - 48.8%-ს, მოსმენილი განმარტება მედიაციის მიმართ „გარკვეულწილად აღუძრავს ნდობას“.[2]

[2] შუალედური პოზიცია შინაარსობრივადაც ყველაზე მეტად არის წარმოდგენილი (MEAN) - 2.02. სტანდარტული გადახრის გათვალისწინებით (St.Dev=0.648), საშუალო მაჩვენებელი უარყოფით და დადებით ველებს შორისაა და უკიდურესობებისკენ არ არის მიმართული.

2016 წლის გამოკითხვის შედეგები თანხმობაშია ახალი კვლევის შედეგებთან: მედიაციის მოკლე აღწერის შემდეგ რესპონდენტების მესამედმა თავი შეიკავა შეფასებისას (34%), თუმცა უმრავლესობა - 57% - გარკვეულ ნდობას უცხადებს მედიაციის პროცესს.

მედიაციის შინაარსობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად განისაზღვრა საკითხის **ეროვნების ჭრილში** განხილვა. მონაცემთა დამუშავების ეტაპზე, ეროვნების აღმნიშვნელი კატეგორიები ორ ჯგუფად გაერთიანდა: ქართველი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი. მედიაციის მიმართ ნდობის შეფასებაც სწორედ ამ ჯგუფების მიხედვით განხორციელდა. ქართველი რესპონდენტების უმრავლესობა 3-ქულიან სკალაზე შუალედურ პოზიციას აფიქსირებს - 51.3%; რაც შეეხება სხვა ეროვნების წარმომადგენლებს, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტი, დაახლოებით მესამედი (31.5%), ასევე შუალედურ პოზიციას („გარკვეულწილად აღმიძრავს ნდობას“) ემხრობა, ამ ჯგუფის მეხუთედზე მეტი (21.5%) უარყოფითი შინაარსის მქონე პასუხს ირჩევს - „საერთოდ არ აღმიძრავს ნდობას“ (ეს პასუხი ქართველების შემთხვევაში მნიშვნელოვნად დაბალია - 16%). ეს მიუთითებს, რომ **მედიაციის მიმართ ნდობა სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ჯგუფში სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს** *(დიაგრამა 13):*

დიაგრამა #13



რაც შეეხება **არბიტრაჟს,** მოსმენილი განმარტება ყოველ მეორე რესპონდენტს (49.7%) გარკვეულწილად აღუძრავს ნდობას. სრულ ნდობას არბიტრაჟი რესპონდენტთა 17.2%-ში აღძრავს.

ამ შემთხვევაშიც ყურადსაღებია მაჩვენებლები **ეროვნების** ჭრილში: ქართველ რესპონდენტებს შორის არბიტრაჟის განმარტება ნდობას არ აღძრავს 15.7% -ში, მაშინ როდესაც ეს მაჩვენებელი სხვა ეროვნების წარმომადგენელ რესპონდენტებში 22.5%-ს უდრის. ასევე, პოზიციას „გარკვეულწილად აღმიძრავს ნდობას“ ქართველ რესპონდენტთა შორის 51.7% იზიარებს, ხოლო სხვა ეროვნების რესპონდენტებს შორის - 36%. ამრიგად, **არბიტრაჟთან მიმართებით სხვა ეროვნების წარმომადგენლების უნდობლობა კიდევ უფრო ღრმავდება მედიაციასთან შედარებით** *(დიაგრამა 14):*

დიაგრამა #14



2016 წლის კვლევაში მსგავსი ტენდენციაა: არბიტრაჟის შესახებ მოსმენილი განმარტება რესპონდენტთა უმრავლესობაში (51%) იწვევდა ნდობას (მათ შორის: 39%-ში „გარკვეულ ნდობას“, ხოლო 12%-ში - „სრულ ნდობას“). (დიაგრამა 15)

დიაგრამა #15



2.3 მედიაციის/არბიტრაჟის უპირატესობები სასამართლოსთან მიმართებით

რამდენადაც მედიაცია და არბიტრაჟი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებებია, მნიშვნელოვანია, რესპონდენტთა თვალთახედვით, **მედიაციისა და არბიტრაჟის სასამართლოსთან შედარება.**

თავდაპირველად რესპონდენტებმა შეაფასეს მედიაციის უპირატესობები სასამართლოსთან შედარებით. შეკითხვა მოცემული იყო ნახევრადსტრუქტურირებული ფორმით, ანუ თავად რესპონდენტებსაც შეეძლოთ მათთვის სასურველი პასუხის შემოტანა. რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის (23.7%) რთული აღმოჩნდა უპირატესობების დასახელება, თუმცა, მათ შორის, ვინც უპირატესობებზე მიუთითა, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაფიქსირდა შემდეგ კატეგორიებში: *„ბაჟი ნაკლებია“* (22.9%) და *„მალე სრულდება/ არ ჭიანურდება“* (15.8%) *(დიაგრამა 16):*

დიაგრამა #16



2016 წლის გამოკითხვაში მედიაციის რომელიმე კონკრეტული უპირატესობა არ იკვეთება და ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მცირე ბაჟი, პროცესის მიმდინარეობა მშვიდ გარემოში, პროცესის მალე დასრულება, ადვოკატის დაქირავების საჭიროების არარსებობა და ნაკლებად სტრესული მდგომარეობა, თანაბრად მნიშვნელოვანია. (დიაგრამა 16)

არბიტრაჟის უპირატესობებზე (სასამართლოსთან შედარებით) ყველაზე ხშირად დასახელდა კატეგორია *„მალე სრულდება/არ ჭიანურდება“* (19.1%), რომელსაც, დაფიქსირების სიხშირის მიხედვით, მოჰყვება კატეგორია - *„პროცესი მიმდინარეობს უფრო მშვიდ ატმოსფეროში“* (12.3%) *(დიაგრამა 17):*

დიაგრამა #17



არბიტრაჟთან დაკავშირებით ანალოგიური პრეფერენციები გამოიკვეთა 2016 წლის გამოკითხვაშიც: ყველაზე ხშირად სახელდება პროცესის სწრაფი დასრულება (13%) და მისი უფრო მშვიდ ატმოსფეროში წარმართვა, ვიდრე სასამართლოში (11%). (დიაგრამა 17)

2.4 მედიაციის/არბიტრაჟის ნაკლოვანებები სასამართლოსთან მიმართებით

რესპონდეტებმა, ასევე, შეაფასეს **მედიაციის ნაკლოვანებები** სასამართლოსთან შედარებით. ამ შემთხვევაშიც პასუხები ითვალისწინებდა რესპონდენტების სუბიექტურ მოსაზრებებს. მრავალპასუხიან ნახევრად-სტრუქტურირებულ შეკითხვაში, რესპონდენტების უფრო დიდმა ნაწილმა გამოყო შემდეგი ნაკლოვანება: „თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, მაინც მოუწევთ სასამართლოში წასვლა და დროს დაკარგავენ“ (18.7%). შემდეგ მოდის (თითქმის თანაბარი წილით) ისეთი ნაკლოვანებები, როგორებიცაა: ა) „მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საქმეების შეზღუდულ რაოდენობაზე“ (14.5%) და ბ) „მხარეებმა შეიძლება არ ჩათვალონ სავალდებულოდ გადაწყვეტილების შესრულება“ (14.2%). აღსანიშნავია, რომ მაღალია არ ვიცი/მიჭირს პასუხი კატეგორიის მაჩვენებელი (48%). (დიაგრამა 18)

დიაგრამა #18



2016 წლის გამოკითხვა მსგავს შედეგებს აჩვენებს მედიაციის ნაკლოვანებებთან დაკავშირებით. უმეტეს-წილად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, მაინც მოუწევთ სასამართლოში წასვლა და დროს დაკარგავენ (21%). გადაწყვეტილების არასავალდებულო ხასიათს ასახელებს 12%. საქმეების შეზღუდული რაოდენობა ნაკლოვანებას წარმოადგენს 9%-ისთვის. (დიაგრამა 18)

რაც შეეხება **არბიტრაჟის ნაკლოვანებებს,** შემთხვევათა 19.2%-ში რესპონდენტები მიუთითებენ, რომ *„შეუძლებელია შედეგის გასაჩივრება“*; 11.7% მიიჩნევს, რომ *„შესაძლებელია, რომ არბიტრაჟი იყოს მიკერძოებული“*, ხოლო 9.2%-ის აზრით, *„შესაძლოა, არბიტრაჟი იყოს ნაკლებად კომპეტენტური“* (დიაგრამა 19).

დიაგრამა #19



2016 წლის გამოკითხვაშიც, ანალოგიურად, გამოკვეთილია არბიტრაჟის ის ნაკლოვანება, რომ შეუძლებელია შედეგების გასაჩივრება (17%); თუმცა, ძველ მონაცემებში, ახალთან შედარებით, უფრო პრობლემატურად ითვლებოდა ის, რომ არბიტრაჟის შედეგი ნაკლებად პროგნოზირებადია (11%). (დიაგრამა 19)

2.5 პრიორიტეტების განაწილება მედიაცია/არბიტრაჟს და სასამართლოს შორის

სასამართლოსთან შედარებით მედიაციის/არბიტრაჟის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების განსაზღვრის შემდეგ, ***რესპონდენტებმა განსაზღვრეს საკუთარი პრიორიტეტები, ერთი მხრივ, მედიაციას/არბიტრაჟს და, მეორე მხრივ, სასამართლოს შორის.*** შეკითხვა შემდეგნაირად დაისვა: *„პირადად თქვენ, შესაბამისი საჭიროების დროს, არჩევდით თუ არა მედიაციას/არბიტრაჟს სასამართლოს?* (იგულისხმება, რომ საქმის სპეციფიკა იძლევა მედიაციის/არბიტრაჟის გამოყენების საშუალებას)". რესპონდენტთა პასუხები გაიზომა 4-საფეხურიან სკალაზე, რომელზეც 1 აღნიშნავდა „არავითარ შემთხვევაში არ ვარჩევდი"; 2 – „უფრო არ ვარჩევდი"; 3 – „უფრო ვარჩევდი"; 4 – „აუცილებლად ვარჩევდი"

რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (45.8%) მიუთითებს, რომ უფრო არჩევდნენ მედიაციას, ვიდრე სასამართლოს. პასუხის გაცემა ყოველ მეხუთე რესპონდენტს გაუჭირდა (19.5%). კვლევის შედეგები აჩვენებს რომ აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით რთულია იმ დასკვნის გაკეთება, რომ რესპონდენტები მიანიჭებენ უპირატესობას მედიაციას.[3]

არბიტრაჟის თაობაზე იმავე კითხვის ანალიზისას ჩანს, რომ რესპონდენტთა უფრო დიდი ნაწილი (41%) არჩევდა არბიტრაჟს, ვიდრე სასამართლოს (შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს 23%-ს). ისევე როგორც მედიაციის შემთხვევაში, აქაც მონაცემები განვიხილეთ საშუალოსთან (MEAN) მიმართებით. კერძოდ, MEAN = 2.66-ს, რაც მიუთითებს, რომ რესპონდენტები რამდენადმე იხრებიან იმისკენ, აირჩიონ არბიტრაჟი სასამართლოს მაგივრად; თუმცა, ეს ტენდენცია მხოლოდ მცირედით არის გამოხატული[4] *(დიაგრამა 20):*

დიაგრამა #20

არჩევდით თუ არა მედიაციას/არბიტრაჟს სასამართლოს? 2019 წ. (N=1560)



[3] საშუალო მნიშვნელობა (MEAN) არის 2.77, რაც, მიუთითებს, რომ რესპონდენტები, საჭიროების დროს არჩევანის შემთხვევაში, გარკვეულ უპირატესობას ანიჭებენ მედიაციას სასამართლოსთან შედარებით. თუმცა, სტანდარტული გადახრის მაჩვენებელი უტოლდება 0.822-ს. ეს ნიშნავს, რომ საშუალო მაჩვენებელი გაბნეულია და მედიაციის რეალურ უპირატესობაზე (სასამართლოსთან შედარებით) დასკვნას ვერ გავაკეთებთ.

[4] გასათვალისწინებელია სტანდარტული გადახრის მაჩვენებელი, რაც, ამ შემთხვევაში, უტოლდება 0.833-ს. ეს ნიშნავს, რომ საშუალო მაჩვენებელი მერყეობს 1.827-დან 3.493-მდე, რაც ნიშნავს, რომ გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ პასუხები რომელიმე ერთ ველში იყრის თავს, არამედ ის გაბნეულია დადებით და უარყოფით ველებში. შესაბამისად მედიაციის რეალურ უპირატესობაზე (სასამართლოსთან შედარებით) ვერ ვისაუბრებთ.

2016 წლის კვლევაში დაფიქსირდა ცალკეული მნიშვნელოვანი განსხვავებები: გაცილებით მეტია იმათი წილი, ვინც თავს იკავებდა მედიაციის/არბირტრაჟის უპირატესობებზე მითითებისგან (სასამართლოსთან შედარებით): რესპონდენტთა 45%-მა მედიაციის, ხოლო 47%-მა არბიტრაჟის შემთხვევაში თავი შეიკავა პასუხისგან.

შესაბამისად, 2016 წლის გამოკითხვაში გაცილებით ნაკლებია იმათი რაოდენობა, ვინც მედიაციას/ არბიტრაჟს ანიჭებდა უპირატესობას სასამართლოსთან შედარებით: მედიაციას უპირატესობას ანიჭებდა 36%, ხოლო არბიტრაჟს - 28% (დიაგრამა 21).

დიაგრამა #21

არჩევდით თუ არა მედიაციას/არბიტრაჟს სასამართლოს? 2016 წ. (N=5002)



3. მედიაციისადმი/არბიტრაჟისადმი მიმართვის გამოცდილება

3.1 მიმართვის გამოცდილება

კვლევისთვის მნიშვნელოვანი იყო თავად რესპონდენტების **გამოცდილების** შეფასება მედიაციის/არბიტრაჟის გამოყენებასთან დაკავშირებით.

გამოკითხულთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, 99%-მა, მიუთითა, რომ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მედიაციისთვის ან არბიტრაჟისთვის არ მიუმართავს. მხოლოდ 15-მა რესპონდენტმა მედიაციის შემთხვევაში და 16-მა არბიტრაჟის შემთხვევაში (1%) დააფიქსირეს რომ ასეთი გამოცდილება აქვთ.

გამოკითხვა აჩვენებს, რომ კაცების ჯგუფში ორივე შემთხვევაში მიმართვიანობის პრაქტიკა მცირედით აღემატება ქალების მხრიდან მიმართვიანობას:

- მედიაციის შემთხვევაში - უსარგებლია 12 კაცს და 3 ქალს. გასათვალისწინებელია, რომ სქესის ჭრილში მონაცემები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და მცირე განსხვავებაც აღნიშვნას იმსახურებს (X2=7.758, (df=1), p=0.005).
- არბიტრაჟის შემთხვევაში - უსარგებლია 10 კაცს და 6 ქალს.

2016 წლის გამოკითხვა იდენტურ შედეგებს აჩვენებს: ანალოგიურად, მედიაციისადმი მიმართვის გამოცდილება მხოლოდ რესპონდენტთა 1%- ს აღმოაჩნდა (ჯამში 36 ადამიანი); რაც შეეხება არბიტრაჟის გამოყენებას, ასეთი ფაქტი დაადასტურა კიდევ უფრო მცირე რაოდენობამ - 30-მა რესპონდენტმა (0.6%).

3.2 გაწეული სერვისით კმაყოფილება

გამოკითხვა ითვალისწინებდა იმის შეფასებას, თუ რამდენად **კმაყოფილები** არიან რესპონდენტები გაწეული სერვისით (ამ შეკითხვას, ცხადია, მხოლოდ ის რესპონდენტები პასუხობდნენ, რომელთაც მედიაციით/ არბიტრაჟით სარგებლობის გამოცდილება აქვთ). ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ის, თუ როგორი წარმატებით დასრულდა საქმე; აქ მთავარი აქცენტი მომსახურებაზეა გადატანილი. შესაფასებლად გამოყენებული იყო 4-საფეხურიანი სკალა, რომელზეც 1 აღნიშნავდა „სრულიად უკმაყოფილო"; 2 – „უკმაყოფილო"; 3 – „კმაყოფილი"; 4 – „ძალიან კმაყოფილი".

15 რესპონდენტს შორის, რომელთაც უსარგებლიათ მედიაციით 3 ადამიანი სრულიად უკმაყოფილო დარჩა, 5 აფიქსირებს, რომ უკმაყოფილოა, 5 კმაყოფილი, ხოლო მხოლოდ 2 ადამიანია, ვინც ძალიან კმაყოფილია მედიაციით, როგორც პროცესით.

რაც შეეხება არბიტრაჟისადმი მიმართვის გამოცდილების მქონე 16 ადამიანს, მათ შორის პროცესით სრულიად უკმაყოფილოა 4 მათგანი, 5 - უკმაყოფილო, 4 რესპონდენტი კმაყოფილი, ხოლო 2 რესპონდენტია ისეთი, ვინც სრულიად კმაყოფილია პროცესით.

არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, არბიტრაჟთან ასოცირებული გამოცდილება უფრო მეტად იხრება უარყოფითი შეფასებისკენ, მედიაციასთან შედარებით (თუმცა, ამ შედეგის გენერალიზება შეუძლებელია შერჩევაში იმ რესპონდენტთა მცირე რაოდენობის გამო, ვინც მედიაციით/არბიტრაჟით ისარგებლა).

დემოგრაფიული სურათი

გამოკითხვის ფარგლებში სულ მონაწილეობა მიიღო 1556-მა რესპონდენტმა. მათგან 865 (55.6%) იყო ქალი, ხოლო 691 (44.4%) მამაკაცი *(დიაგრამა 22):*

დიაგრამა #22

რესპონდენტების ეთნიკურობა (N=1560)



გამოკითხვა მიმდინარეობდა საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონში 9 ურბანულ ლოკაციაზე: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, ოზურგეთი, თელავი, ზუგდიდი, ახალციხე, მარნეული, გორი *(დიაგრამა 23):*

დიაგრამა #23

რესპონდენტთა განაწილება რეგიონების მიხედვით (N=1560)



ასაკობრივ ჭრილში რესპონდენტთა მონაცემები 6 კატეგორიაში გაერთიანდა და გამოიყო შემდეგი ჯგუფები: 18-24, 25-34, 35-44, 45-54, 55-64, 65 წლის და მეტის. სწორედ ამ კატეგორიების შესაბამისად მოხდა მიღებული პასუხების გაანალიზება ასაკობრივ ჭრილში *(დიაგრამა 24):*

დიაგრამა #24

რესპონდენტთა ასაკობრივი განაწილება (N=1560)



ეროვნების მხრივ რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა თვითიდენტიფიცირდა როგორც ქართველი, დაახლოებით 13%-მა დაასახელა, რომ იყო რომელიმე სხვა ეროვნების წარმომადგენელი. მათ შორის აზერბაიჯანელი რესპონდენტები ჭარბობენ. აღნიშნულის გათვალისწინებით, ეროვნების მახასიათებლები კატეგორიზდა როგორც ქართველი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი. ეროვნების ჭრილში ანალიზი პასუხებთან მიმართებით, სწორედ ამ დანაწილებით მოხდა (დიაგრამა 25):

დიაგრამა #25

რესპონდენტების ეთნიკურობა (N=1560)



რესპონდენტთა მიერ მიღწეული განათლების დონე სამ ჯგუფში გაერთიანდა: „არასრული უმაღლესი/უმაღ-ლესი/მაძიებელი/ასპირანტურა“, „სრული საშუალო/ ტექნიკური (პროფტექნიკუმი)“, „არასრული საშუალო და უფრო დაბალი“. რესპონდენტთა უმეტესობა გაერთიანდა „არასრული უმაღლესი/უმაღლესი/მაძიებელი/ ასპირანტურა“, „სრული საშუალო/ ტექნიკური (პროფტექნიკუმი)“ კატეგორიებში, ხოლო „არასრული საშუალო და უფრო დაბალი“ განათლების მიღწეული დონე რესპონდენტთა მხოლოდ მცირე რაოდენობას ჰქონდა *(დიაგრამა 26):*

დიაგრამა #26

რესპონდენტთა მიერ მიღწეული განათლების დონე (N=1560)



საქმიანობის მიხედვით, გამოკითხულთა ყველაზე დიდმა ნაწილმა თავი უმუშევრად დაასახელა (32.3%). რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, თითქმის ყოველი მესამე (31.8%), დასაქმებულია არასაჯარო სექტორში (კერძო სექტორში, არასამთავრობო ორგანიზაციაში ან თვითდასაქმებულია; რაც შეეხება სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ რესპონდენტებს, მათი წილი 11.9% - ს შეადგენს *(დიაგრამა 27):*

დიაგრამა #27

რესპონდენტთა საქმიანობა (N=2560)